საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია
საგარეჯო

# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №13(291) 2023 წ. 1-15 ივლისი ფასი 1 ლარი

### ერთობლივი პროექტი

## გააუმჯობესებს მართვის არსებულ სისტემას



**28 ივნისს**, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ", "მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II-ის" ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტს 6 ერთეული სატვირთო მანქანა, ნარჩენების შესაგროვებელი და საპრესით აღჭურვილი სპეციალური მანქანები გადასცა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა აღნიშნული ავტომობილები შპს „სუფთა მუნიციპალიტეტ 2018"-ს გადასცა. მუნიციპალიტეტების აღჭურვა ნარჩენების შესაგროვებელი და დასუფთავებისთვის საჭირო სპეციალური ტექნიკური საშუალებებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ნარჩენების მართვის არსებულ სისტემას.



## მდგრადი ენერგეტიკის დღისადმი მიძღვნილი და ევროპის ენერგეტიკის კვირეულის ფარგლებში



**მუნიციპალიტეტის** მერის, ავთანდილ გულიკაშვილის მხარდაჭერით და ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილების ორგანიზებით, დღეს, ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო კამპანია ჩატარდა,ველოტური და მცირე მასშტაბიანი ექსკურსია სახელწოდებით - "აირჩიე მწვანე-ჯანსაღი მომავლისთვის"!

ველოტურში მონაწილეობას იღებდნენ საგარეჯოს საჯარო სკოლების მოსწავლეები, მოხალისეები და სპორტის მასწავლებლები. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, მოსწავლეებსა და მოხალისეებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ და ადგილზე გაცნობოდნენ სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოს" მხარდაჭერით ქალაქ საგარეჯოში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ჩირისა და გამომშრალი ბოსტნეულის მწარმოებელი საწარმოს- შპს "ჯეოორგანიკი"-ში ტექნოლოგიურ პროცესებს, რომელიც მზის სისტემაზე მომუშავე საშრობი აგრეგატით არის აღჭურვილი. მონაწილეები ბრენდირებული მაისურებითა და კეპებით დაასაჩუქრდნენ.

ველოტურის შემდგომ, კულტურის სახლის მცირე დარბაზში ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო-შემეცნებითი პრეზენტაცია მოეწყო - „ მდგრადი ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება", ასევე მუნიციპალიტეტის მასშტაბით განსახორციელებელ პროექტების მიმოხილვა, რომელიც ენერგოეფექტურ კონსტრუქციების მოწყობას უკავშირდება.

## წარმატებებს გისურვებთ!



**მინდა** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ყველა აბიტურიენტს ვუსურვო წარმატება და წინსვლა ცხოვრების ამ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ეტაპზე.

მე იმედი მაქვს, როგორც ყოველთვის- საგარეჯო ერთ-ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტი იქნება წარჩინებული მოსწავლეების საუკეთესო შედეგებით.

კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებას, მიგულეთ თქვენს სამსახურში, როგორც ერთი რიგითი თანამოქალაქე და დიდი გულშემატკივარი!

***პატივისცემით,***

*ავთანდილ გულიკაშვილი*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი***



**წარმატებას** გისურვებთ ახალგაზრდებო. თქვენს ცხოვრებაში ეს არის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ახალი ეტაპი, როდესაც საკუთარ მომავალს განსაზღვრავთ.

დარწმუნებული ვარ, ამ გამოწვევას წარმატებით გაართმევთ თავს . თქვენ ხართ ჩვენი მომავალი და თქვენი განათლება საქართველოს წინსვლის გარანტიაა"

*-ალექსი გილაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე***

## გზა დაულოცეს



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის ***მერის მოადგილეები:*** **ემზარი კუჭუაშვილი და გიორგი ლალიაშვილი** საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის ახლადრეაბილიტირებულ ეზოში გამართულ აღსაზრდელთა 2023 წლის გამოშვების საანგარიშო ღონისძიებას დაესწრნენ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმოდგენილ სხვადასხვა სახალისო და შემეცნებით აქტივობებში აქტიურად მიიღეს მონაწილეობა ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა დამსწრე საზოგადოებას საინტერესო, მრავალფეროვანი სანახაობა წარუდგინეს და საოცარ ზღაპრულ სამყაროში ამოგზაურეს.

დასასრულს, ბაღის ხელმძღვანელმა, თამარ ლაფერიშვილმა პატარებს სამახსოვრო მოწმობები გადასცა და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა მიულოცა.



# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

**30 ივნისი, 2023წ**



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გილაშვილი*** უძღვებოდა.

დღის წესრიგის I საკითხზე „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების შესახებ", მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ***ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ბექა ფეიქრიშვილმა.***



როგორც მან აღნიშნა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტში **38 პროექტი** უნდა განხორციელდეს, აი ისინიც:

1 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ ბადიაურში*** კაკლების უბანში საავტომობილო გზის მოასფალტება – პროექტის სრული ღირებულებაა 1021634 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 970552 მათ შორის თანადაფინანსება 51082 2023 წ

2 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***ბადიაურში*** მესეტყვეს უბნის საავტომობილო გზის მოასფალტება პროექტის სრული ღირებულება 2287923, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 2173527 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 114396 ლარი. 2023 წ

3 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქ. საგარეჯოში ***შ.რუსთაველის XVII ჩიხის მოასფალტება*** – პროექტის სრული ღირებულება 392764 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 373126ლარი მათ შორის თანადაფინანსება 19638 ლარი 2023 წ

4 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **დიდ ჩაილურში** ***სკოლის მიმდებარე ქუჩის მოასფალტება.*** პროექტის სრული ღირებულებაა 1247065 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 1184712 ლარი მათ შორის თანადაფინანსება 62353 ლარი. 2023 წ

5 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ბადიაურში** ე.წ. ***„თელეთის გზა"-ის მოასფალტება*** პროექტის სრული ღირებულება 189109 ლარი მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 179654 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 9455 ლარი 2023 წ

6 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **ნინოწმინდაში**, ***ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 156896 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 149051 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 7845 ლარი 2023 წ

7 ქ. საგარეჯოში ***გორგასლის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები*** პროექტის სრული ღირებულება 67723 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 64337ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 3386 ლარი 2023 წ

8 ქ. საგარეჯოში ***ვასილ კიკვიძის ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 569263 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 540800 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 28463 ლარი. 2023 წ

9 ქ. საგარეჯოში ***ვასილ კიკვიძის ჩიხის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 27213 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 25852 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 1361 ლარი, 2023 წ

10 ქ. საგარეჯოში ***სოფიკო ჭიაურელის I შესახვევის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 53369 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 50701 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 2668 ლარი, 2023 წ

11 ქ. საგარეჯოში ***ეგნატე ნინოშვილის ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 26487 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 25163 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 1324 ლარი, 2023 წ

12 ქ. საგარეჯოში ***გამარჯვების ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 160750 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 152713 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 8037 ლარი, 2023 წ

13 ქ. საგარეჯოში ***მერიის ეზოს მოასფალტება*** პროექტის სრული ღირებ-

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

# სოფლის მეურნეობა

## „ალოობა-2023 " მუნიციპალიტეტში

### შედეგები

**მუნიციპალიტეტის** სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ძალებს იკრებს 2023 წლის ალოობა. სულ წლევანდელი თავთავიანების მოსავალს გასული შემოდგომიდან საფუძველი ჩაყრილი ჰქონდა 8000 ჰექტარ ფართობზე. აქედან საშემოდგომო ქერი დაითესა 2800 და საშემოდგომო ხორბალი 5200 ჰა-ზე. გასული ზამთრისა და გაზაფხულის უხვნალექიანობამ თავიდან ხელი შეუწყო თავთავიანი ნათესების ვეგეტაციის საქმეს, მაგრამ შემდგომ მოსულმა სეტყვამ საგრძნობლად დააზიანა და დააზარალა მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთი ზონის მთელი რიგი სოფლების ყანები.

26 ივნისიდან მუნიციპალიტეტში გაიჭრა ქერის ყანები და „ალოობა-2023 "-მა სტარტი აიღო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებით, 3 ივლისის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში თავთავიანების მოსავლის აღებაზე დასაქმებულია 15 კომბაინი და სულ ალოობის დაწყებიდან საშემოდგომო ქერი მომკილია 1255 ჰა-ზე, საიდანაც მიღებული მოსავლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 1.9 ტონას შეადგენდა. დასეტყვილი ფართობების (შიბლიანი, მზისგული, ყანდაურა, ბადიაური) გამოსავლიანობა 700-800 კგ-ს. ამ მხრივ საუკეთესო მოსავლიანობით გამოირჩევა ირანელი ინვესტორის ყანები, სადაც თითოეულ ჰა-ზე 2,8 ტონა ქერს იღებენ. ამაზე 8 ცენტნერით ნაკლებს (2.0 ტონა) შეადგენს გიორგიწმინდისა და საგარეჯოს დაუსეტყვავი ფართობების საშუალო მოსავლიანობა. ასევე, 3 ივლისისათვის მუნიციპალიტეტში საშემოდგომო ხორბალი მომკილია 370 ჰა-ზე, საიდანაც იგივე სეტყვის გამო დაბალია საშუალო საჰექტარო (1.5 ტონა) მოსავლიანობა. ასევე, დაბალი შედეგი აქვთ შიბლიანის, მზისგულისა და ყანდაურის მოსახლეობას, სადაც ზოგიერთი ფართობებიდან 0.6-დან 1 ტონამდე მერყეობს.



„ალოობა-2023 " მუნიციპალიტეტში გრძელდება.

# გმირთა მემორიალი თაიგულებით შეამკეს

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სოფელ ბადიაურში, გმირთა მემორიალი თაიგულებით შეამკეს და 1993 წელს ტამიშთან ბრძოლაში დაღუპული მეომრების -კახაბერ გიქორაშვილისა და მამუკა ხატისაშვილის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ გიორგი ლალიაშვილმა და საკრებულოს თავჯდომარემ ალექსი გილაშვილმა - კახაბერ გიქორაშვილის დედას - ქალბატონ ზინა გიქორაშვილს შვილის სამშობლოს სამსხურისა და თავგანწირვისთვის მადლობა გადაუხადეს, ჯანმრთელობა და მხნეობა უსურვეს.

1993 წლის 2 ივლისს, დილის 5:00 საათზე, დაბა ტამიშთან რუსეთის რეგულარულმა არმიამ საზღვაო დესანტი გადმოსხა. დესანტის რაოდენობა 600 კაცს შეადგენდა. ბატალიონის დესანტირებას რუსეთის სამხედრო ხომალდი უზრუნველყოფდა. გამთენიისას პირველი დარტყმა ტამიშში, ლაბრასა და ზემო კინდღში განლაგებულმა ნაწილებმა მიიღეს. დესანტთან ერთად გააქტიურდა აფხაზური ფორმირება. ჩრდილიდან გამოსულმა ჯგუფმა შინაგანი ჯარების ნაწილს ჩრდილოეთიდან შეუტია.

შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ პოზიციაზე მყოფი ყველა ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. პირველი დარტყმა დუშეთის ბატალიონმა მიიღო, რის შედეგადაც 52 ქართველი მებრძოლი დაიღუპა, ქართულმა მხარემ რამდენიმე დღიანი ბრძოლის შედეგად, 300-მდე მებრძოლი დაკარგა. მიუხედავად დიდი დანაკარგისა, ქართველმა ჯარისკაცებმა შესძლეს მოწინააღმდეგის მოგერიება, შეინარჩუნეს პოზიციები და მთლიანად გაანადგურეს საზღვაო დესანტი.



2 ივლისი საქართველოს ისტორიაში, ერთდროულად - გლოვისა და სიამაყის დღეა!

# ანგარიშს აბარებს დეპუტატი – ივანე ბეჟიაშვილი



***გიორგიწმინდის** თემის სოფლების: გიორგიწმინდის, ანთოკის, მარიამჯვარის, ქვემო სამგორის დასახლებისა და თოხლიაურის მაჟორიტარი დეპუტატი ივანე (ვანო) ბეჟიაშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში გიორგიწმინდის რჩეულად ჯერ კიდევ 2014 წლის არჩევნებით მოვიდა. მოსახლეობისგან მიღებულმა მხარდაჭერამ, ამომრჩევლის ნდობამ უფრო მეტად გაუასკეცა პასუხისმგებლობა თითოეული ოჯახის მიმართ და აქტიურად ჩაება სოფლების საჭიროების გამოვლენაში, გიორგიწმინდის თემში მერის წარმომადგენელთან გიორგი ჭიაბერაშვილთან ერთად, სოფლის ხანდაზმული და ახალგაზრდა ადამიანებისაგან მოისმინა პრობლემები, მათი გადაჭრის გზებიც მოიკითხეს და შეუდგნენ ნაბიჯ-ნაბიჯ პრობლემების მოგვარებას. ადვილი არ იყო გზების, სპორტული სივრცეების მოწესრიგებისთვის მუშაობა. 2015 წლიდან 2021 წლამდე ვანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე იყო,2021 წლის არჩევნებიდან კი არჩეულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარედ.*

**დაიბადა** – 1983 წლის 6 ივლისი

**განათლება** – გიორგიწმინდის საშუალო სკოლა – 2002 წელი, სამხედრო ტოპოგრაფიული სასწავლებელი, პროფესია – გეოდეზიოლოგი – 2002-2004 წლები.

**სამუშაო გამოცდილება** – 2014 წლის არჩევნებიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი გიორგიწმინდის თემში და 2021 წლის არჩევნების შემდეგ გიორგიწმინდის თემისა და სოფელ თოხლიაურის მაჟორიტარი დეპუტატი. ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

***გიორგიწმინდის თემში შემავალი სოფლები და თოხლიაური არც თუ ისე პატარა დასახლებებია. მართალია, ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება აქ პრობლემების მოგვარება, მაგრამ, როცა სოფელი ცოცხალი ორგანიზმია, იქ ყოველთვის ჩნდება ახალ-ახალი, წვრილმანი პრობლემებიც.***

***დღეს ვანო ბეჟიაშვილი მაჟორიტარობის განვლილ პერიოდზე გვესაუბრება:***

***– სოფელი გიორგიწმინდა*** საკმაოდ ძირძველი და დიდი, ლამაზი წყობით განლაგებული სოფელია. აქ მშრომელი ადამიანები ცხოვრობენ, მისდევენ მევენახეობას, მემინდვრეობას, მესაქონლეობას, მესიმინდეობას, მეფრინველეობას, არიან ბიზნესმენები და ფერმერები, რომლებიც უნარიანად უძღვებიან თავიანთ საქმეს, თვალყურს ადევნებენ სოფლის მეურნეობაში ყოველგვარ სიახლეს და არ უშინდებიან თანამედროვე გამოწვევებს. სოფლის სახელს თითოეული ადამიანი უფრთხილდება, აქ ხომ დიდი არსენა მეკოკიშვილის ბავშვობა, ახალგაზრდობა და მისი დიდებული გამარჯვებებია აღრიცხული. აქ, ამ სოფელმა გამოზარდა მოჭიდავეები, რომლებმაც ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველო ასახელეს და დღესაც იზრდებიან სახელოვანი სპორტსმენები, რომ აღარაფერი ვთქვათ მკლავჭიდელებზე, ამ დღეებში მოლდოვაში, ევროპის ტურნირზე, ჩვენმა მკლავჭიდელებმა თავი ისახელეს და საქართველო ასახელეს. და სოფელში, სადაც ასეთი მშრომელი, ევროპაში თავნასახელები ადამიანები ცხოვრობენ, მათ შესაბამისი საცხოვრებელი პირობებიც უნდა ჰქონდეთ. კომფორტული გადაადგილებისათვის გზების მოწესრიგება დასასრულს უახლოვდება. სოფელში ერთი პატარა უბანიღაა დარჩენილი მოსაასფალტებელი. გაკეთდა გარეგანათება, სადაც არასოდეს არ ყოფილა, ახლა დაიქსელა უბნები, ქუჩები...

რაც შეეხება სასმელ წყალს, მოგეხსენებათ, სასმელი წყალი ქვეყნის მასშტაბით საუკუნის პრობლემას წარმოადგენდა, მაგრამ დღეს ჩვენი მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში ამ პრობლემის აღმოფხვრა ხდება. ასეა ჩვენთანაც, გიორგიწმინდაში. ამჟამად მთავრდება საუბნო დაქსელვები, გამრიცხველიანება და მოსახლეობას მოეხსნება საუკუნოვანი პრობლემა.

**სოფელი ანთოკი** საკურორტო ზონაშია. მისი მოსახლეობა სარგებლობს მთის ზონის სოფლებისათვის არსებული ყველა იმ სიკეთით, რაც საქართველოში მთის ზონაში არსებული სოფლის მოსახლეობისთვისაა გამოყოფილი. მაგრამ ერთ დროს ხალხმრავალი სოფელი, რომლის მოსახლეობა მესაქონლეობას მისდევდა, გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებული სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გამო, ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. ამას უგზოობა და უწყლობაც დაერთო და სოფელში თითო-ოროლა კომლიღა დარჩა... ბოლო წლებში ანთოკის მოსახლეობას განსაკუთრებული ყურადღება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისგანაც მიექცა და 4 კმ-ის სიგრძის გზა მოწესრიგდა, მოასფალტდა, გაკეთდა გარე განათება, ტრენაჟორებმა, რომელიც „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გაკეთდა, აქ გიორგიწმინდისა და სხვა სოფლების ბავშვები და ახალგაზრდებიც მოიზიდა. ძალიან მალე, უახლოეს დღეებში გამოსწორდება სასმელი წყლის მიწოდება აქაური მოსახლეობისათვის. ზაფხულის პერიოდში აქ დაბრუნებულ, ძირძველ მოსახლეობას დამსვენებლები, მოაგარაკეებიც ემატებიან და სოფელი ცოცხლდება.

ერთადერთი, რაც სამომავლოდ, უფრო სწორედ უახლოეს წლებში გაკეთდება – ეს გაზიფიცირებაა. სოფელში იყვნენ სპეციალისტები, ჩაატარეს აზომვები და იმედი გვაქვს მალე ეს პრობლემაც გადაიჭრება, რაც საფიქრალია და მომავალში მოსაგვარებელი – ეს არის სავაჭრო ობიექტის გახსნა, სადაც პირველადი მოხმარების საგნები გაიყიდება.

საქართველოში **სოფელი მარიამჯვარი** განსაკუთრებულ ტურისტულ წერტილადაა




# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

**30 ივნისი, 2023წ**

**გაგრძელება**

ულება 154426 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 146705 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 7721ლარი,2023 წ

14 ქ. საგარეჯოში ***მრავალბინიანი კორპუსის ეზოს რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 117551 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 111673 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 5878 ლარი, 2023 წ

15 ქ. საგარეჯოში ***ჯაფარიძის ქუჩის ჩიხების რეაბილიტაცია –*** პროექტის სრული ღირებულება 1143336 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 1086169 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 57167 ლარი, 2023 წ

16 ქ. საგარეჯოში ***სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 593813 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 564122 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 29691 ლარი, 2023წ

17 ქ. საგარეჯოში ***შოთა რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 83600 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 79420 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 4180 ლარი, 2023 წ

18 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში** ***21-ე ქუჩის რეაბილიტაცია*** 950196 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 902686 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 47510 ლარი, 2023 წ

19 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში** ***22-ე ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 86189 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 81880 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 4309 ლარი, 2023 წ

20 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში** ***1-ლი ქუჩის II შესახვევის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 40141 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 38134 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 2007ლარი, 2023 წ

21 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. გიორგიწმინდაში 1-ლი ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია პროექტის სრული ღირებულება 160098 მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 152093 მათ შორის თანადაფინანსება 8005 ლარი, 2023წ

22 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში** ***მე-20, მე-19, მე-15 და მე-17-ე ქუჩების რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 860356 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 817338 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 43018 ლარი, 2023 წ

23 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში** ***23-ე ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 206021 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 195720 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 10301 ლარი, 2023 წ

24 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში** ***მე-3 ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 355933 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 338136 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 17797ლარი, 2023 წ

25 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **ანთოკში** ***1-ლი და მე-3 ქუჩების რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 746119 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 708813ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 37306ლარი, 2023 წ

26 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **მანავში** ***მე-5 ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 142820 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 135679 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 7141ლარი, 2023 წ

27 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **მანავში** ***30-ე ქუჩაზე გზის დამცავი რკინაბეტონის კედლის მოწყობა*** პროექტის სრული ღირებულება 383118 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 363962 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 19156 ლარი, 2023 წ

28 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში** ***27-ე ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 165609 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 157329 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 8280ლარი, 2023 წ

29 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ***ქ. საგარეჯოსა და სოფელ ნინოწმინდის ცენტრალური გზისა და ტროტუარების მოასფალტება*** პროექტის სრული ღირებულება 4568390 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 4339971 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 228419ლარი, 2023 წ

30 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ქ. საგარეჯოში ***შ. რუსთაველის ქუჩის მოასფალტება/ტროტუარების მოწყობა*** პროექტის სრული ღირებულება 1537918 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 1461022 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 76896ლარი, 2023 წ

31 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ქ. საგარეჯოში ***ვ.ჯაფარიძის ქუჩის მოასფალტება*** პროექტის სრული ღირებულება 1286387 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 1222068 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 64319ლარი, 2023 წ

32 ქ. საგარეჯოში ***ზაქარია ბილანიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 508886 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 483442 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 2544 ლარი, 2023წ.

33 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **მანავში** ***28-ე ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 445240 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 422978 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 22262 ლარი, 2023 წ

34 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **მანავში** ***მე-7 და მე-10 ქუჩების რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 1413899 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 1343204 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 70695 ლარი, 2023 წ

35 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ნინოწმინდაში** ***არსებული ხიდის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 464036 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 440834ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 23202ლარი, 2023 წ

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

# მუნიციპალური გვერდი
## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა
**30 ივნისი, 2023წ**

**გაგრძელება**

36 ქ. საგარეჯოში ***ერეკლე II ქუჩის 74 საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 434304 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 412589 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 21715 ლარი, 2023 წ

37 ქ. საგარეჯოში ***თამარ მეფის ქუჩის 24 საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 192791 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 183151 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 9640 ლარი, 2023 წ

38 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **პატარძეულში *ეკლესიის ღობისა და სანიაღვრე ქსელის მოწყობა*** პროექტის სრული ღირებულება 114637ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 108905 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 5732 ლარი, 2023 წ

წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ შენიშვნები, წინადადებები გამოთქვეს საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ გარსევან ბუხნიკაშვილმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ოთარ ურდულაშვილმა და ფრაქცია „ლელოს" წარმომადგენელმა თაკო ყორღანაშვილმა. როგორც მათ საუბარში აღნიშნეს, მისასალმებელია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს და მკაცრი კონტროლი დავაწესოთ შესაბამისმა სამსახურებმა ქუჩების მოასფალტებისას ბორდიურების, სანიაღვრე, სარწყავი სისტემების მოსაწესრიგებლად. ამასთან, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობისას, ისე უნდა მოხერხდეს ასფალტის დაგება, რომ წვიმისა და თოვლის წყალი არ ჩადიოდეს ფუნდამენტში, არ გუბდებოდეს ეზოებში.

**სხდომის** დღის წესრიგის ***მეორე საკითხზე*** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 2023-2028 წლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ" მოხსენება გააკეთა საგარეჯოს ***მერიის განათლებისა, სპორტის, კულტურის, ტურიზმის სამსახურის უფროსმა* არჩილ ჯაბადარმა.** მან ვრცლად ისაუბრა იმ საინტერესო სა-



მომავლო გეგმებზე, რომლებსაც აღნიშნული გაერთიანების სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს. დეპუტატთაგან დასმულ შეკითხვებს უპასუხეს მომხსენებელმა და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორმა **ელზა ბილაშვილმა.** წარმოდგენილი მოხსენების ირგვლივ ისაუბრეს საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ **გარსევან ბუხნიკაშვილმა** და ფრაქცია „ლელოს" წარმომადგენელმა **თაკო ყორღანაშვილმა.** როგორც გარსევან ბუხნიკაშვილმა აღნიშნა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 2023-2028 წლების სტრატეგიულ გეგმაში ხაზგასმით უნდა იყოს მითითებული, აღნიშნულ დაწესებულებაში მომუშავეთა ხელფასის ზრდის აუცილებლობა. სწორედ ამით უნდა დაფასდეს მათი მართლაც ფასდაუდებელი შრომა და ამაგი მომავალი თაობის აღზრდა-განვითარება-განათლებისთვის ჩადებული. დეპუტატ თაკო ყორღანაშვილის განცხადებით, საყურადღებოა საბავშვო ბაღებში ჩატარებული თითოეული სარეაბილიტაციო თუ სამშენებლო სამუშაოები, რადგან საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოს რეაბილიტაციისას დაშვებულია ბევრი შეცდომა, უპირველესად ეს ითქმის ბორდიურებზე.

**მოხსენებით** „გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს დეპუტატების წინაშე ***საგარეჯოს გენდერული საბჭოს თავმჯდომარე, საგარეჯოს „ქალთა ოთახის" დირექტორი* თამარ ურდულაშვილი** წარსდგა, რომელმაც მსმენელთ გააცნო



ის საინტერესო, მნიშვნელოვანი ღონისძიებები, პროექტები, რომელთა განხორციელებასაც საგარეჯოს „ქალთა ოთახი" მიმდინარე წელს გეგმავს.

**საკითხების**: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკის აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრისათვის თხოვების ფორმით" გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გრეიდერის შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი-2018"-სათვის თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" მოხსენებები გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სამსახურის უფროსმა* გიორგი ქურდოვანიძემ.**

***შპს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის***



***საინფორმაციო გაზეთ გარეჯის მაცნეს 2022 წლის წლიური ანგარიში" წარმოადგინა ამავე შპს-ს დირეტქტორმა* თინათინ ილაურმა**. როგორც მან აღნიშნა:

შპს "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი გარეჯის მაცნე" ეწევა საგამომცემლო საქმიანობას.

კონკრეტულად, გამოსცემს გაზეთ "გარეჯის მაცნეს". გაზეთის პერიოდულობაა თვეში ორჯერ, თვის 15 და 30-31 რიცხვებში,



ტირაჟი - 300 ერთეული. ერთი ეგზემპლიარის ფასი 1 ლარია. 2022 წლის 12 თვეში გამოშვებულია გაზეთის 24 ნომერი.

2022 წლის 12 თვეში სუბსიდიამ შეადგინა 45757,37 ლარი (გეგმა 45794 ლარი). აქედან:

გაზეთის გამოცემაზე გაიხარჯა 4360 (გეგმა 4 990) ლარი,

მივლინებაზე – 567 ლარი (გეგმა 1008 ლარი),

ხელფასზე – 32 786 ლარი (გეგმა 32 786 ლარი)

ოფისის ხარჯმა სულ 11 803,60 (გეგმა 11 512 ) ლარი შეადგინა.გაზეთების რეალიზაციიდან და ხელმომწერებიდან სულ შემოსულია 3798 ლარი, აქედან ჟურნალ-გაზეთების ჯიხურიდან შემოსულია 100 ლარი, განცხადებებიდან – 250ლარი.

2022 წლის 12 თვეში საკუთარმა შემოსავალმა სულ 4048 ლარი შეადგინა. საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯულია 1747,60 ლარი ( აღნიშნული თანხა გახარჯულია დასაუფთავების გადასახადის, ტელეფონების კორპორატიული მომსახურების, შპს „კონსულტატის" მომსახურების,ბანკის მომსახურების, შპს „სუფთა გარემო" - ში, ასევე, გაცემულია კოვიდ -ინფექციით დაავადებულ ორ თანამშრომელზე, თითოეულზე 125-125 ლარი). სექტემბერში ერთჯერადი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულია ხელფასის სახით 500 ლარი, კანონით დადგენილი დაკავებით. საანგარიშო პერიოდში დახმარების სახით, ან სხვა თანხა არ გაცემულა.

გაზეთში გამოქვეყნდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მასალები, რომელთა მოცულობაა სულ 19210 სმ2, ღირებულებით- 9427 ლარი. აქედან, მერიის მასალები -- 6078სმ2, ღირებულება – 6618 ლარი; საკრებულოსი: 13132 სმ2, ღირებულება – 2809 ლარი.

2022 წლის 12თვეში გაზეთის ფურცლებზე გაშუქდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თათბირები (10 -ჯერ), ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები (7-ჯერ), მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელი პირების შეხვედრები მუნიციპალიტეტის თემებისა და სოფლების მოსახლეობასთან (იხ. გაზეთის №№3-4).

ასევე, მკითხველს ვრცლად მიეწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2022წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ (№ 1), რუბრიკის „სოფლის მეურნეობა" ქვეშ ჩვენი გაზეთის მკითხველს ვრცლად მიეწოდა ინფორმაცია ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო ფართობებზე დათესილი და გაშენებული კულტურების მოსავლიანობის შესახებ (10 სხვადასხვა ნომერში), ალოობა -2022 -ის მიმდინარეობა და საბოლოო შედეგები (№13, №15), დაიბეჭდა ინტერვიუები რწყვის სეზონთან დაკავშირებულ საკითხებზე (№13, 15), „რთველი-2022"-ის მიმდინარეობა და შედეგები (№№18,20), გაზეთის ფურცლებზე გაშუქდა სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ცხოვრება (16 ნომერში), სადაც საუბარი იყო იმ სააღმზრდელი მეთოდებზე, რაც ბოლო ხანს სწავლა-აღზრდის სფეროში ინერგება; მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების სპორტსმენთა მუშაობის, მათი მიღწევების (თითქმის გაზეთის ყველა ნომერში), რუბრიკის „ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!" ქვეშ დაბეჭდილ წერილებში (№3-4, 5,12,19),ვისაუბრეთ ჩვენი მუნიციპალიტეტის იმ პატარა მოქალაქეებზე, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მომავალს აქედანვე ჭედავენ თავიანთი საქმიანობითა და სწავლით(მორაგბე, ძიუდოისტი, ნორჩი მეტყევე, სტუდია „კამერტონი", ანსამბლი „ პატარა გარეჯელები"); თემატური გვერდი მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს - 8 მარტს (№5), ჩვენი გაზეთის მკითხველებს გავახსენეთ რაიონის ღვაწლმოსილი ადამიანები (№№5,6,23-24-უდაბნოს აღმშენებლები, №15-16 დამსახურებული ექიმი-რამაზ აბელაშვილი, ისტორიკოსი კოტე ჩოლოყაშვილი)და სხვ.

მსოფლიოში გავრცელებული პანდემიის-კორონა-ვირუსის თავიდან ასაცილებელი წესები კიდევ ერთხელ განმარტეს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა (№3-4, 6, 20).

გაზეთის ფურცლებზე პერიოდულად დაიბეჭდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, შეხვედრები მოსახლეობასთან, მათ მიერ წამოჭრილი საკითხები.

გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის თემებისა და სოფლების ყოველდღიური ცხოვრების შესახებ ვრცელი ინფორმაციები, სადაც მიმოხილული იყო სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები (სულ 18 ნომერში,იორმუღანლოს, კოჭბანის,უჯარმის,გომბორის,მანავის,ლამბალოს, ყანდაურის თემებში შემავალ სოფლებსა და სოფლებში: მზისგულში, ვერხვიანში, დიდ და პატარა ჩაილურში კაკაბეთში, სათაფლეში, უდაბნოში), სამომავლო გეგმები, სოფლად არსებული პრობლემები, გაშუქებული იყო საოჯახო სასტუმროს (სოფელ უდაბნოში) მუშაობა ერთ კონკრეტულ მაგალითზე, ეტაპობრივად ვახდენდით უკრაინაში მიმდინარე ომის მიმოხილვას(№№ 5, 9,10), მოსახლეობას გავაცანით საგარეჯოს სასმელი წყლით მომარაგების ისტორია №6, №7-8), შევახსენეთ დავით გარეჯას ისტორია (№11), ფართოდ გავაშუქეთ საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ბინადართა საქმიანობა ( №11-12), გაზეთის ფურცლებზე აისახა საგარეჯოში არსებული შშმ პირების ააიპ ორგანიზაცია „გეორგიანელების" ლამაზი და საინტერესო ღონისძიებები(№7-8,, №11-12); სოციალურად დაუცველ პირებს სპეციალისტის მიერ განემარტა შრომის უნარიანი სოციალურად დაუცველი ადამიანების სახელმწიფოსგან დასაქმების მექანიზმი (№№2, 3-4, 14, 22); გაზეთის სტუმარი იყო საგარეჯოს „სათნოების სახლი" მომსახურე პერსონალითა და სამუშაო რეჟიმით (№7-8); მოსახლეობას სიღრმისეულად გავაცანით მცირემიწიან ბენეფიციართა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა (№10), საკითხის უკეთ გასაცნობად გამოვკითხეთ დარგის სპეციალისტები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები; ასევე, მოსახლეობას დაწვრილებით გავაცანით პროგრამა „სოფლის მხარდაჭერისათვის" პროექტები (№3-4), (№7-8), რომლებიც მუნიციპალიტეტის სოფლებში ეტაპობრივად ხორციელდებოდა (№№6, 6-7); გაზეთის ფურცლებიდან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ შევახსენეთ სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებაში არსებული კრიზისი, შევეხეთ ქალაქში კანალიზაციის ქსელის სავალალო მდგომარეობას, განვიხილეთ სოფლად არსებული სასმელი წყლის სისტემის მუშაობა (№10), ქალაქისა და სოფლების ქუჩების გენერლების, მაწანწალა ძაღლების მიერ შექმნილი პრობლემები (№20), ასევე, მოსახლეობის დაუდევრობით გამოწვეული ხანძრების სავალალო შედეგები (№ 14, 16) ,და მეხანძრეების საქმიანობა „ ჩვენი დროის გმირები" (№9, 20).

გაზეთის ფურცლებზე ვრცლად გაშუქდა ახალი სასწავლო წლისთვის მზაობა და სწავლის დაწყება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ( 15), ასევე, მუნიციპალიტეტის ცენტრში ჩატარებული სამოქალაქო ზეიმი საგარეჯოს ქალაქად წოდების 60-ე წლისთავთან დაკავშირებით (№17), კონკურსი „ქალაქობანა" (№18), ღვინის ფესტივალი (№ 19)

გაზეთის ფურცლებიდან მკითხველს გავაცანით მუნიციპალიტეტში მოღვაწე შემოქმედი ადამიანები, დაიბეჭდა ინტერვიუ

*დასასრული მე-5 გვერდზე*

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

**30 ივნისი, 2023წ**

დასასრული

შორეული ნაოსნობის გემის კაპიტანთან გელა უნაფქოშვილთან.

რუბრიკის „მართლმადიდებლობა“ ქვეშ დაიბეჭდა სტატიები ქრისტიანულ, რელიგიურ თარიღებსა და მოვლენებზე.

თინათინ ილაურის მიერ წარმოდგენილი შპს-ს 2022 წლის წლიური ანგარიშის მოსმენისას აზრი გამოთქვეს საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **ბარსევან ბუხნიკაშვილმა** და ფრაქცია „ლელოს“ წარმომადგენელმა **თაკო (თამარ) ყორღანაშვილმა.** მათ აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტში, იმის გამო, რომ სხვა სახის მედიასაშუალება არ არსებობს, ამიტომ გაზეთმა ყველა დადებითთან ერთად ის ნაკლოვანი მხარეებიც უნდა გააშუქოს, რაც მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ახლავს.



სხდომაზე ა.ი.პ საგარეჯოს ***№105 კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორის იოსებ კვეზერელის 2022 წლის ანგარიში*** წარმოადგინა **იოსებ კვეზერელმა.** როგორც მან აღნიშნა:

– ა.ი.პ საგარეჯოს 105 კომპლექსური



სასპორტო სკოლა დღიდან შექმნისა (2006 წ.) ემსახურება მოზარდი თაობის აღზრდისა და დაოსტატების საქმეს. სკოლას გააჩნია , ჩოგბურთის კორტები, და ორი საცურაო აუზი, მათ შორის ერთი დახურული.

სკოლის საშტატო ერთეულების ოდენობა განსაზღვრულია 6 ერთეულით. ესენია: დირექტორი, ბუღალტერი, სამი დარაჯი დამლაგებელი.ასევე ზაფხულის პერიოდში საჭირო აუცილებლობიდან გამომდინარე ხელშეკრულებით გვყავდა დასაქმებული ხუთი მუშაკი.

სკოლის დირექციის მიერ გასულ წელს მიუხედავად ქვეყანაში პანდემიის გამო შექმნილი მძიმე ვითარებისა და მთელი რიგი შეზღუდვებისა, გარკვეული სამუშაოები იქნა ჩატარებული ზემო აღნიშნული ობიექტების წესრიგში მოსაყვანად და სასწავლო წლის წარმატებით დასამთავრებლად. მერიისა და საკრებულოს აქტიური მხარდაჭერით მიმდინარე რემონტები ჩაუტარდათ სკოლის ღია და დახურულ აუზებს, კერძოდ: ღია საცურაო აუზზე შეიღება კედლები და ძირი წყალმდეგი საღებავით. ასევე დახურულ საცურაო აუზზე შეიღება კედლები და ძირი. სკოლის სველ წერტილებში შეიცვალა დაზიანებული უნიტაზები. შეცვლილი იქნა ღია და დახურული საცურაო აუზების ძველი დაზიანებული ცირკულარული ტუმბოები ახლით, დასუფთავდა სკოლის ტერიტორია და კორტები.წესრიგში იქნა მოყვანილი დახურული საცურაო აუზის ვენტილაცია.



განსაკუთრებული კონტროლი იქნა დაწესებული მთავრობის მიერ დაწესებულ რეგულაციების დაცვაზე.

გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად უზრუნველყო გასულ წელს სასწავლო პროცესების ნორმალურად წარმართვა ორივე აუზზე.

სკოლას გასულ წელს ბავშვთა სასწავლო – გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისათვის და აუზების მიმდინარე რემონტებისათვის ბიუჯეტით დამტკიცებული ჰქონდა სუბსიდიის სახით 70944 ლარი. საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს –39450 ლარს. საქონელი და მომსახურება–20480 ლარს, მათ შორის: შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურება–6475 ლარს, და ოფისის ხარჯები–14005 ლარს.არაფინანსურმა აქტივებმა შეადგინა –4200 ლარი ,. გასულ წელს ნაცვლად ბიუჯეტით დაგეგმილი 70944 ლარისა, გახარჯული იქნა 70831,63 ლარი ლარი, გეგმის –99,8%–ი. საიდანაც ხელფასებში გაცემული იქნა –39450ლ. ოფისის ხარჯებში – 13916,68 ლარი, შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურებაზე – 6474 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივებიდან შენობისა და აუზების მიმდინარე რემონტების ჩასატარებლად სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შედგენაზე – 4176,95 ლარი( 16933 ლ). ასევე, ბიუჯეტის შევსებისათვის გასულ წელს სკოლას დაგეგმილი ჰქონდა ადგილობრივი შემოსავლების გეგმა – 20000 ლარის ოდენობით. (ცურვის ფასიანი სწავლებიდან) გასულ წელს ცურვის სექციებში ირიცხებოდა ნაცვლად დაგეგმილი –350 ბავშვისა – 453 ბავშვი, და ღია საცურაო აუზზე ვიზიტიორთა ოდენობამ შეადგინა – ნაცვლად დაგეგმილი 2000კაცისა 2403 .გაწეული მუშაობის შედეგად აბონიმენტების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეაგინა 26065 ლარი, საიდან 5900 ლარი გაიხარჯა შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე, და სხვა საოფისე ხარჯებზე.–5741,94 ლარი, არაფინანსურ აქტივებზე–2519,99 ლარი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სკოლაში სასწავლო პროცესების მაღალ დონეზე ჩატარებას.

აღნიშნული წლიური ანგარიშის მოსმენისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ **თავმჯდომარემ ბარსევან ბუხნიკაშვილმა** მომხსენებელსა და საკრებულოს წევრებსაც შეახსენა, რომ სეზონის დადგომისას იზრდება ჩვენს მუნიციპალიტეტში და მეზობელ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდებისა და მოზარდების სურვილი აუზით სარგებლობის. კარგი იქნება, თუ ყოველივე ამას გაითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და სასპორტო სკოლის მუშაობას სეზონურიდან მუდმივ მუშაობაზე გადაიყვანს. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნულ სასპორტო სკოლის შენობაში ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხს. გათვალისწინებული იქნეს ისიც, რომ საცურაო აუზის შეღებვა უნდა მოხდეს ძვირადღირებული საღებავებით, რისი გადამოწმებაც აუცილებელია.

**დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე** აიპ ***„სათნოების სახლის“*** 2022 წლის წლიური ანგარიშის მოხსენების მიხედვით:

– ა.ი.პ. საგარეჯოს სათნოების სახლისათვის 2022 წლის სუბსიდიით გამოყოფილი იყო 306988 ლარი.

ხელფასებისათვის 94510 ლარი გაიხარჯა 94510 ლარი

კვებაში გეგმით 184600 ლარი, გაიხარჯა 172817 ლარი

კავშირგაბმულობა 1400 ლარი, გაიხარჯა 1396,13 ლარი

კომუნალურ ხარჯებში 3720 ლარი გაიხარჯა 3051,7 ლარი

აქედან:

ელექტროენერგია 1200 ლარი გაიხარჯა 961,69 ლარი

წყლის ხარჯი 800 ლარი გაიხარჯა 371,09 ლარი

ბუნებრივი 1060 ლარი- გაიხარჯა 1058,92 ლარი

დასუფთავებაში 660 ლარი გაიხარჯა 660 ლარი

საწვავის ხარჯი 3000 ლარი გაიხარჯა 2370,16 ლარი

აუდიტორული მომსახურება 1200 ლარი, გაიხარჯა 1200 ლარი

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დარიცხული ჯარიმის თანხა 1000 ლარი,

ტენდერის გამოცხადების თანხა 450 ლარი,

„ჰასპის“ პროგრამით სათნოების სახლის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები, რაშიც გადავიხადეთ 1800 ლარი.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციაში ჩავრიცხეთ 4000 ლარი.

ასევე შევიძინეთ სათნოების სახლისთვის თერმომეტრები რაშიც გადავიხადეთ 400 ლარი.

სათნოების სახლის თანამშრომლებისათვის შევიძინეთ უნიფორმები 4520 ლარის ოდენობით.

შევიძინეთ სამზარეულოს სამეურნეო საქონელი თანხით 2591 ლარის.

306988 ლარიდან გაიხარჯა 293520,32 ლარი.

2022 წლისთვის ჩატარდა 6 ტენდერი საკვებ პროდუქტებზე.

ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული

ხელშეკრულებით 38809,29 ლარი, გამარჯვებული შ.პ.ს „საბა“ დირექტორი სერმან მურჯიკნელი.

სხვადასხვა საკვები პროდუქტები

ხელშეკრულებით 48899,82 ლარი, გამარჯვებული შ.პ.ს. „სახანძრო ტექნიკი“ დირექტორი გიორგი გიორგაძე.

ცხოველური პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, ხელშეკრულებით 48400 ლარი. გამარჯვებული ინდ. მეწ. ნელი დურიშვილი.

დამუშავებული და შენახული თევზი. ხელშეკრულებით 11458,98 ლარი. გამარჯვებული შ.პ.ს. „სახანძრო ტექნიკი“ დირექტორი გიორგი გიორგაძე.

ცხოველური და მცენარეული ზეთები დაცხიმები. ხელშეკრულებით 13784,90 ლარი. გამარჯვებული შ.პ.ს. „საბა“ დირექტორი სერმან მურჯიკნელი.

რძის პროდუქტები. ხელშეკრულებით 13179,82 ლარი. გამარჯვებული შ.პ.ს.“საბა“ დირექტორი სერმან მურჯიკნელი.

პირდაპირი სახით გაფორმებული ხელშეკრულებით გვქონდა 3 სახის

დასასრული მე-7 გვერდზე



# ანგარიშს აბარებს დეპუტატი

დასასრული

მონიშნული . აქ უკვე გაკეთდა საფეხმავლო ბილიკები ტურისტების დასასვენებელ ადგილ კოდამდე მოკლე გზით დასაკავშირებლად. აქ არსებული იშვიათი სახეობის ნაძვებით გაშენებული ნაძვნარი სამკურნალოა სასუნთქი გზების გამოსაჯანმრთელებლად, ამიტომაც მოექცა ყურადღების ცენტრში ეს ადგილი. ამასთან გზის მოწესრიგებას, გარე განათებას აქ მინი სტადიონის მოწყობაც დაერთო და ბოლო ხანს უამრავი ახალგაზრდა იყრის თავს გასართობად და დასასვენებლად.

დღეს აქტიურად მიმდინარეობს მარიამჯვრის ქუჩების დაქსელვა სასმელი წყლის სისტემის მოსაწყობად და მალე აღარც მარიამჯვრელებს ექნებათ სასმელი წყლის დეფიციტით გამოწვეული პრობლემები. აქაც გაზიფიცირების აუცილებლობაა, რის გარეშეც შეუძლებელი იქნება აქ დამსვენებლების დაკავება წლის ყველა სეზონზე.

**ქვემო სამგორის დასახლების** გზა მოასფალტებულია, შიდა გზა მოხრეშილი. სოფელი გაზიფიოცირებულია და 27 კომლი 24 საათიანი სასმელი წყლის მომარაგებით სარგებლობს.

**სოფელი თოხლიაური** ჩვენი თემის სოფლების მომიჯნავე სოფელია. სოფელში მშრომელი, დაუზარელი ადამიანები ცხოვრობენ. მისდევენ მევენახეობას, მემინდვრეობას, მებაღჩეობას, მესაქონლეობას. სოფელი გაზიფიცირებულია. სოფლის უბნების სასმელი წყლის სისტემით დაქსელვითი სამუშაოები და სავარგულებამდე მისასვლელი გზების მოწესრიგება დამთავრდა. სოფელში გაკეთდა მინი სტადიონი, გარე განათებით დაიქსელა უბნები. მხოლოდ რამდენიმე სანათის დაყენებაღაა დარჩენილი და ესეც მალე მოწესრიგდება.

სოფლებში, გიორგიწმინდასა და თოხლიაურში ფუნქციონირებს საკმაოდ გამართული ინფრასტრუქტურის მქონე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. ზაფხულში მოწესრიგდება გიორგიწმინდის საბავშვო ბაღის ეზო, სადაც დაიდგმება ყველა ის ატრიბუტი და ეზოს სათამაშო, რასაც 21-ე საუკუნის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წინაშე აყენებს თანამედროვეობა. ორივე სოფელში არსებული საჯარო სკოლების დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ცდილობს საგანმანათლებლო პროცესებისა და სააღმზრდელო მეთოდების დახვეწას. გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზში კი მომავალი მსოფლიო ჩემპიონები იზრდებიან, თუმცა აქ ერთი საკითხია მოსაგვარებელი, რომელიც სპორტული დარბაზის იერ-სახეს, მის ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვნად შეცვლის – დარბაზი საქართველოს სოფლის მეურნეობის პროფკავშირების ბალანსზეა დღემდე. მისი ჩვენი მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადმოცემა უამრავ სიკეთედ მოუტრიალდება თავად გიორგიწმინდის თემში შემავალ სოფლებს.

მინდა სიამაყით ვთქვა, რომ ოთხივე სოფლის და ქვემო სამგორის დასახლების მოსახლეობა თვითდასაქმებულია. აქ თავადვე ცდილობენ მოყვანილი პროდუქციის რეალიზაციას, ამასთან კარგად უწყობენ ფეხს ტურიზმის განვითარებისათვის გამიზნულ გამოწვევებს. მიმდინარე 2023 წელს სოფელ გიორგიწმინდაში შემდეგი პროექტები განხორციელდება:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში *21-ე ქუჩის რეაბილიტაცია*** 950196 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 902686 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 47510 ლარი, 2023 წ

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ.

დასასრული მე-6 გვერდზე

# ახალი ლექსები

## მწარე სიმართლე ბევრად სჯობს ტყუილს ნათქვამსა ტკბილადა

### თამაზ ქვლივიძე

*ტელ. 599-10-43-18*

***გაზეთის მკითხველისათვის ცნობილია, რომ 850 წლის რუსთაველს ვუფეშქაშე ერგასი (50) წლის მანძილზე საგარეჯოში, თბილისში, სოხუმში, ჩიტაში (ჯარში), მოსკოვში, კიევში, ლვოვში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, ვაშინგტონში, თელავში, თელ-ავივში, ანკარაში, ლონდონში, ოქსფორდში და სხვა ქალაქებში დაწერილი ფრაზები, ჯამში 850-სტრიქონიანი პოემა. იხილეთ „ვაზისა და 850 წლის რუსთაველის საუბარი" და „წუთისოფლის წიგნი" („ბიბლუსის" მაღაზიებში).***

***ამჟამად გთავაზობთ ახალი პოემის "ვითა ძმა შოთა ვაზისა"-ს დასაწყისს, მთლიანად კი ეტაპობრივად გამოვაქვეყნებ 525-ვე ვაზის ჯიშების ხსენებით, ადგილმდებარეობით და ვაზის ამეტყველებით. ასე მაგალითად:***

*ჯიში მწვანე მაქვს ვაზისა, მანავი კიდევ მხარეო,*
*გადავიარე ქვეყნები, მსოფლიოც მოვიარეო,*
*მილიონ წლისა სიცოცხლე ამაყად გავიარეო,*
*მანაველებო, ნაღვაწი სალხინოდ მაიხმარეო.*

*ხიხვი ვარ თელავს ნახარი, ხოტბით ვარ გავრცელებული,*
*მოწითლო კუმშა მტევნებით მზის სხივით*
*გაწითლებული,*
*საამო ღვინის მომძღვნელი, თამარ მეფისგან ქებული,*
*ჯანანურითა ვყოფილვარ ოქროს ხანს დაღვინებული.*

*ვაზს ვეკითხები, მიამბე, რატომ, რისთვისა სტირიხარ,*
*კაცის მშველი ხარ უებრო, მოსიყვარულე ძირი ხარ,*
*ფოთლით რომ ნიახურს გავხარ, ვენახში ვაზის მეფე ხარ,*
*მწადის რომ ვაზმა წარმოთქვას: ღვინოვ ქართულო,*
*ძვირიხარ.*

#### ვითა ძმა შოთა ვაზისა

ბევრი ვიფიქრე, რუსთველო, სიკეთით, არა ჯავრითა,
უკვდავად როგორ იქეცი სახელოვანი გვარითა?
ვხსენი და ვენახს ამოვხსენ რიგებში ვაზთა ჯარითა,
დალოცვილი ხარ ღვთისაგან ნინოს ვაზისა ჯვარითა!

რა დედამ გშობა ასეთი, დაუჭკნობელო ქართველო,
ეს კი შენს წიგნში ვიხილე, დიდსულოვანო რუსთველო,
სიტყვის ოსტატთა მეფე ხარ, ქართული სიტყვის
მომრთველო,
სახიერდები ცოცხლადა, პოეზიისა მმართველო.

მამაც, გავიგე, მგოსანო, გყოლია გასაოცარი,
დიდ ბასიანის რაინდი, ქართველ სპათ დასაფიცარი,
სამშობლოს მოსიყვარულე, მისი გულისა ფიცარი,
სისხლში ბადაგიც გდგომიათ, ბადაგის არსი რაც არი.

კვალსა გონებით გავყევი, მადლობელი ვარ თავისა,
ვარსკვლავ მაგვარი ძმაც ვპოვე შენი და არა სხვაისა,
თან გამოვნახე ამინდი საუკეთესო თესვისა,
ძმადნაფიცი ხარ ვაზისა, გაუხმობელი ფესვისა.

წუთისოფელმა მასწავლა გზა მთისა, ბარის, ველისა,
ამბებიც ბევრი მიამბო ჩვენ მიწა-წყლისა ძველისა,
თურმე წესადაც ყოფილა მტრობა კაცისა ქველისა,
გარეწრის თვალის მოკვრასა მიჯობს დანახვა გველისა.

ვერ შეგვაშინებს ვერასდროს ვერცა ნაკბენი გველისა,
ვერცა ზრახვები ავისა, უვიცისა და მწველისა,
გულს მუდამ აგვიკანკალებს სიტყვები არაგველისა
კრწანისის ველზე ნათქვამი, დღევანდელ
დღისაც მშველისა.

შემოვუაროთ სამშობლოს, შევიგრძნოთ შიში შველისა
და არა მტრისა უბირის, ოხრისა, დამაწყევრისა,
მოწადინებით ჩვენც ვწიოთ უღელი ერის მწევლისა,
წახალისდება მოწაფეც ნაღვაწის დამნახველისა.

კვლავ მოგახსენებთ არაკსა, ამბავსა ენაწყლიანსა,
აზრსა და ფიქრსა შაირით ნაწყვეტსა, არ მთლიანსა,
ვგმობ ღვინოს გაწყალებულსა, მოყვარეს ორგულიანსა,
მეც გიდასტურებთ ამბავსა ცნობილსა, ათასწლიანსა.

ცისკრად ვენახს მიმავალმა გველი ვნახე შხამიანი,
გულმა მითხრა, ნუ მოჰკლავო, ეგეცაა საქმიანი,
სხვა რამ ქენი, სხვა იღონე, თუნდაც ირგო სამიანი,
ნიჭი სდომია, მიუხვდე, ვინაა ადამიანი.

ვაზო ნაზო, მოკაზმულო, ზიარებით ნაზიარო,
მიტომ გფურჩნი, გეფერები, ღვინო მქონდეს საზიარო,
სტუმარს, უცხოს, შინაურსა, ძმასაც ტკბილად ვაზიარო,
შენი მარცვლები, მტევნები ხალხს ხარბად გავუზიარო.

ვაზო ლამაზო, მე შენთან მოვდივარ ფიქრის მსახავად,
ტკბილი მტევნების საცქერად, ნაცრის არ მოსანახავად,
საშაიროდა კიდევაც და არა სავაგლახავად,
ვენახში შრომა კაცისა ლხინია დასანახავად.

სიმწრით ვაჟღერებ სატკივარს, დღეის წყლულს
ჩემსა წილადა,
სოფელს მივხედოთ, იცლება, გავითავისოდ ვალადა,
სიცოცხლის ძარღვი მთავარი შემოვინახოთ თბილადა,
მწარე სიმართლე ბევრად სჯობს ტყუილს ნათქვამსა
ტკბილადა.

მწარედ მიტომ წაგიკითხეთ, გზები ერთად გამოვნახოთ,
დღესვე, სწრაფად, დიდკაცურად მას საშველი
მოვუნახოთ,
ერთი-ორი თქვენც მითხარით, სად წავიდეთ, ვინა ვნახოთ,
რომ ეს ჭირი სატკივარი შვილს არასდროს შევუნახოთ.

არას ვიტყვი საკვეხელსა, დავძენ მხოლოდ საქებელსა,
შევხარ შაირს დაშაქრულსა, ღამის ტკბილ
გამთენებელსა,
კაცსა ერთგულსა, ალალსა, მეცნიერსა და მცნებელსა,
ხამს გაუმარჯოს ღვინოსა, სუფრისა მამშვენებელსა.

მაღალო ღმერთო, გვიბოძე ხვავი, ბარაქა, გონება,
კიდევ და კიდევ იდეა, მრავალი გამოგონება,
თუნდაც რომ ერთმა იჭექოს და მოჰყვეს აღფრთოვანება
საამურია სიცოცხლე, ბედმა თუ სიტკბოც ინება.

ერის კაცისა სიცოცხლე ეკლიანია, მწარეა,
ხანაც კი ხიფათიანი, და შარაგზაზე შარია,
მას უგუნური ვერ ხვდება, რადგან ცოცხალი მკვდარია,
ლომო ქართველო, იმარჯვე, გაჯანსაღების დარია.

"ყმა ფრიდონს ეტყვის: ისწრაფვი, ვიცი, ამბისა თხრობასა,
გიამბო, ვინ ვარ, სით მოვალ, ვინათგან ჰლამი ცნობასა,
ანუ სით ვიცნობ ტარიელს, ანუ რად ვიტყვი ძმობასა,
იგი ძმად მიხმობს, ძმა ხარო, თუცა ძლივ ღირს
ვარ ყმობასა."

შენ რო თავმდაბლად აცხადებ "თუცა ძლივ ღირს
ვარ ყმობასა",
მაშინ საბოძვარს გიბოძებთ და აღარც გავწელ
თხრობასა,
ერი და ბერი გილოცავთ შენსა და ვაზის ძმობასა,
უცხონიც მას იძახიან, მიგვიხვდნენ აზრთა წრთობასა.

ღმერთო, ღმერთო, სახიერო, ძლიერო და მძლეო მძლავრო,
შენი მადლით, წყალობითა მსურს მკითხველი გავაბევრო,
დატანჯული გეაჯები, არვინ მინდა გავაჯავრო,
შოთას ძღვნილი შაირები ფონს გვირგვინით
დავამთავრო.

მჯერა ამინდი გამოვა, პოლიტიკურად იდარებს,
ყურს დაუგდებენ აზრებსა, ზოგი ზეგ გაიზიარებს,
დააფასებენ შაირებს, არვინ არაფერს გვიშარებს,
მოსახლეობაც ხალისით სიახლეებით იხარებს.

მევენახე ვარ მელექსე, ქველი ქვლივიძე მე გვარად,
ჩემი ნატვრაა იბრწყინოს ვაზის სამშობლომ
მზის გვარად,
ისე კი ვშიშობ, მაგრამა შაირს ვასრულებ ამგვარად,
სტრიქონებსა ვწერ რითმებით, ვაზისა ძმისა მაგვარად.

ზოგან კომლები იცლება, ესაა უბედურობა,
ამის მიზეზი ერთია – მძლავრობდა უკეთურობა,
ჭირსა არ ვმალავ, ვაჟღერებ, არაა აქა ხუმრობა,
მჯერა, სატკივარს გააქრობს ქართველი ხალხის
ერთობა.

გაგინუგეშებთ შაირებს, ბევრი კარგიცა შენდება,
მეტყვის ბრძენი გონიერი, ქებად იღე, რაც მშვენდება,
ხოდა ვიღებ ხოტბად მეცა, საქებარი რომ გვიჩდება,
აი ესაა ნაღვაწი, დღე რო იმედით თენდება.

დღევანდელი სჯობს გუშინდელს, თვალის
ცქერითაც დგინდება,
სახელი საქართველოსი რადგან ამგვარად ბრწყინდება,
გავიმეოროთ გმირობა, ერს რომ არაკად აჩნდება,
ოქროს ხანისა დადგომა კვლავაც რომ დაგვირგვინდება

# ანგარიშს აბარებს დეპუტატი

**დასასრული**

**გიორგიწმინდაში** ***22-ე ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 86189 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 81880 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 4309 ლარი, 2023წ

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში** ***1-ლი ქუჩის II შესახვევის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 40141 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 38134 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 2007ლარი, 2023 წ

– ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. გიორგიწმინდაში 1-ლი ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 160098 მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 152093 მათ შორის თანადაფინანსება 8005 2023 წ

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში** ***მე-20, მე-19, მე-15 და მე-17-ე ქუჩების რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 860356 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 817338 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 43018 ლარი, 2023 წ

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში** ***23-ე ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 206021 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 195720 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 10301 ლარი, 2023 წ

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში** ***მე-3 ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირე-



ბულება 355933 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 338136 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 17797ლარი, 2023 წ

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **ანთოკში** ***1-ლი და მე-3 ქუჩების რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 746119 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 708813 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 37306ლარი, 2023 წ

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. **გიორგიწმინდაში** ***27-ე ქუჩის რეაბილიტაცია*** პროექტის სრული ღირებულება 165609 ლარი, მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილია თანხა 157329 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 8280ლარი, 2023 წ.

გიორგიწმინდის თემში შემავალ სოფლებში და თოხლიაურში მომავალში კიდევ უამრავი სასიკეთო საქმის გაკეთებაა დაგეგმილი.

# გამოცდილების გაზიარების მიზნით

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით, ადგილობრივი პედაგოგებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, ჰონგ კონგის უნივერსიტეტის, შედარებითი განათლების ცენტრის ასისტენტ პროფესორთან, ნუცა კობახიძესთან შეხვედრა გაიმართა. შეგახსენებთ, რომ ნუცა კობახიძე გიორგიწმინდის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია

თემა: კონკურენცია განათლებაში, გლობალური ტენდენციები და ლოკალური გამოწვევები. ნუცა კობახიძემ აუდიტორიას საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და განათლების სისტემაში განხორციელებულ კვლევებზე ისაუბრა.



# მართლმადიდებლობა

## გილოცავთ პეტრე-პავლობას!

**ტროპარი**:

***მოციქულთა თავნო და ყოვლისა სოფლისა მოძღვარნო, მაცხოვარსა ყოველთასა ევედრენით, რა თა მოსცეს სოფელსა მშვიდობა და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა .***

**კონდაკი:**

***მტკიცენი და ღმრთის-მეტყველნი ქადაგნი, და თავნი მოწაფეთა შენთანი, უფალო, იზიარენ განსასვენებელსა კეთილთა შენთასა, რამეთუ შრომანი მათნი და სიკვდილნი მიითვალენ უფროს ყოველთა მსხვერპლთა და შესაწირავთასა, მხოლოო, რომელმან უწყნი დაფარულნი გულთანი.***

რა განამტკიცებდა და რა აძლევდა ძალასა და ღონესა ორთა ამათ მოციქულთა (პეტრეს და პავლეს) ესოდენთა ჭირთა შორის და დევნულებათა? როგორ არ მოეწყინათ მათ და როგორ გასძლეს ქვეყანასა ამას შინა, მოკლებულნი ყოვლითა ნუგეშითა და ყოვლითა სოფლიურითა წარმატებითა? მათი სიმტკიცე და მათი ნუგეში იყო იგივე სარწმუნოება და სიყვარული. პეტრე არათუ ითმენდა სულგრძელად ყოველსა დევნასა და განსაცდელსა, არამედ უხაროდაცა, ოდეს მიიღებდა ქრისტეს გულისათვის განსაცდელსა; პავლე, აღვსებული სიყვარულითა, თვით ამ სიყვარულსა შინა ჰპოვებდა თვისსა ნუგეშსა.

აჰა დიდი მაგალითი შენთვის, ძმაო! ეცადე და შეიძინე ესოდენი სარწმუნოება და სიყვარული, რათა ყოველი შენი ნუგეში მდგომარეობდეს აღსრულებასა შინა ქრისტეს მცნებათა. შენ უნდა სრულიად მიანდო თავი შენი ღმერთსა. ბუნებასა კაცისასა აქვს ის თვისება, რომელ კაცი ყოველთვის ეძიებს რომელსამე ბედნიერებასა და ნუგეშსა. გაუძნელდება ქვეყანასა ზედა ცხოვრება იმ კაცს, რომელსაც არა აქვს არცა ერთი ნუგეში და ბედნიერება ამ სოფელში; გარნა შენ, ძმაო ჩემო, ეცადე, რომ შენი ნუგეში და ბედნიერება იყოს სარწმუნოება, ღვთისა და მოყვასის სიყვარული, სიმართლის აღსრულება. ფრიად საჭირო არს და საშიშო, უკეთუ არა-ოდეს ესენი არ გახსოვს, ანუ სრულიად გავიწყდება და ნაცვლად მისა ჰხედავ ბედნიერებასა შენსა სხვათა რომელთამე სოფლიურთა ნივთთა, ანუ მოქმედებათა შინა. სადაცა არს საუნჯე შენი, მუნ იყოს გული შენი, გეტყვის უფალი. უკეთუ საუნჯე შენი არ არის ღმერთი და ღვთის სჯული, არამედ სხვა რაიმე, მაშინ გული შენი განეშორება ღმერთსა. მოციქულთა, პეტრემ და პავლემ, საუნჯე თვისი დასდვეს ღმერთსა შინა; ამისათვის გულიცა მათი ჰპოვებდა განსვენებასა საქმეთა შინა ღვთისათა... მართალია, იგინი იყვნენ, ვითარცა ვსთქვით, დევნულნი და დამძიმებულნი ყოვლითა ამ სოფლის უბედურებითა, გარნა სულიწმიდა, რომელი ჰსუფევს გულსა შინა მართალთასა, ყოველთვის მისცემს მათ ისრეთსა ნეტარებასა, სიხარულსა და ბედნიერებასა, რომლისა მსგავსსა ვერაოდეს ვერ იგრძნობს ცოდვილის კაცის გული.

***წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)***

რომელმაც აიღო პავლეს სარტყელი, „შეიკრა ხელნი და ფერხნი და სთქვა: ამას იტყვის სული წმიდა: კაცი, რომლისა არს სარტყელი ესე, ესრეთ შეკრან იერუსალიემს“ (საქმე 21.11) (კონდაკი 11). ამით აგაბომ ბორკილები უწინასწარმეტყველა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეტარებინა. იერუსალიმში დაბრუნებისას პავლე მოციქული შეიპყრეს და როგორც რომის მოქალაქე კეისრის სამსჯავროზე გაგზავნეს.

აქ, რომში წმ. პავლე პეტრე მოციქულს შეეწეოდა მოქალაქეთა ქრისტიანულ განათლებაში. ერთ-ერთი გადმოცემით მან მოაქცია იმპერატორის მეღვინეთუხუცესი, რისთვისაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. წმინდა მოციქულმა სიცოცხლე თავისკვეთით დაასრულა.

ზოგიერთი მოწმობით პეტრე და პავლე მოციქულები ერთ დღეს აღესრულნენ მოწამეობრივად, სხვა გადმოცემით - პავლეს სრული ერთი წლის შემდეგ მოკვეთეს მახვილით თავი პეტრეს ჯვარცმის შემდგომ. მათი ხსენების დღესასწაული იმთავადვე დაწესდა, ხოლო დაკრძალვის ადგილი წმინდა იყო პირველქრისტეანთათვის. IVს. წმ. მოციქულთასწორმა კონსტანტინე დიდმა რომსა და კონსტანტინეპოლში აღმართა ტაძრები წმ. თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელზე.

***თარგმნა დეკანოზმა*** *არჩილ მინდიაშვილმა*

# სპორტი ძიუდო

## როინ ყორღანაშვილის ტურნირი საგარეჯოში



**საგარეჯოში** ტრადიციადაა ქცეული დამსახურებული მწვრთნელის როინ ყორღანაშვილის ხსოვნის ტურნირების გამართვა, რომლებიც ყოველწლიურად გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ტარდება. ტრადიცია არც წელს დარღვეულა და ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ მესვეურთა ძალისხმევით 21-22 ივნისს ჩატარდა საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში ჩატარდა ტურნირი 2012-2013 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის, არენაზე, სადაც ცნობილ მწვრთნელს არაერთი საგარეჯოელი ფალავანი აღუზრდია და დაუფრთიანებია.

ტურნირში საქართველოს ბევრი სპორტული საზოგადოების წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომლებიც 10 წონით კატეგორიაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას, მათ შორის იყვნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის ამ წლებში დაბადებული ნორჩი ფალავნები. ხუთი მესამე ადგილი – ასეთია მათი შედეგები ამ ასპარეზობიდან. კერძოდ, ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ ***გაბრიელ კოხტაშვილი (27კგ), თემურ ღრეული და გიორგი შათირიშვილი (ორივე 38კგ), ზუკა დიღმელაშვილი (46კგ) და გიორგი დალბაშვილი (+55კგ).***

ტურნირზე საპრიზო ადგილებზე გასული ძიუდოისტები დაჯილდოვდნენ საგარეჯოს სპორტგაერთიანების დირექციის შესაბამისი სიგელებითა და მედლებით. ჩემპიონებს დამატებით გადაეცათ ტურნირზე დაწესებული თასები.

*გივი დაბახიშვილი*

# კრივი

## გარეჯული მოკრივეების წარმატება ბათუმში




**ა(ა)იპ „საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ კრივის მწვრთნელ **გიორგი კოხტაშვილის** აღსაზრდელები, რაც დრო გადის უფრო და უფრო ხვეწენ თავიანთ შესაძლებლობებს და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ ქვეყნის სხვადასხვა რინგებზე გამართულ ასპარეზობებში. 19-23 ივნისს ამ სექციის სამ მოკრივეს ძალთა მორიგი გამოცდა ქ. ბათუმში გამართულ მოსწავლე-მოკრივეთა შორის ირაკლი აბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე მოუხდით, სადაც შეძლეს ერთი პირველი და ამდენივე მეორე საპრიზო ადგილის დაკავება. კერძოდ, ტურნირის ჩემპიონი გახდა გიორგი კოხტაშვილის დამწყები მოსწავლე **ნიკოლოზ თავშავაძე**, ხოლო ვიცე ჩემპიონის ტიტული **დავით პასიკაშვილმა** მოიპოვა, რომელიც, ასევე, არის მიმდინარე წლის აპრილში მარნეულში გამართული საქართველოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი მოსწავლე-მოკრივეებში 63კგ წონით კატეგორიაში.

უფრო მეტ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს მოკრივეებს მომავალში!

*გივი დაბახიშვილი*

# თავისუფალი ჭიდაობა

## ერთი ჩემპიონი და ორი ვიცე ჩემპიონი სტეფანწმინდიდან

**23-25 ივნისს** დაბა სტეფანწმინდაში ჩატარდა იქაური მკვიდრის, მოჭიდავე ტარიელ ალიბეგაშვილის სახელობის ღია რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2003-2010 და 2011-2012 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანებიდან“ ***მწვრთნელ*** **დავით ბაბუნიძის** თანხლებით ამ წლებში დაბადებული 9 მონაწილე გაემგზავრა. მათგან ორთაბრძოლები დაუმარცხებლად ჩაატარა და ტურნირის ჩემპიონი გახდა **გიორგი ქისტაური**. მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ და შესაბამისი ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ საგარეჯოში **გიორგი ქვლივიძე და გიორგი როსტომაშვილი.**

*გივი დაბახიშვილი*

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

**30 ივნისი, 2023წ**

პროდუქტი, ქიშმიში, კვერცხი და ფქვილი. ეს ხელშეკრულებები დაიდო შ.პ.ს. „სახანძრო ქნიკზე“ ქიშმიში 2332 ლარი, კვერცხი 1208 ლარი, ფქვილი 954 ლარი.

2022 წელს ხელფასების სახით გაიცა 94509,20 ლარი.

დეკემბრის თვეში გავეცით დანამატი ხელფასის 70% 5488 ლარი.

2022 წელს ყველა თვეში ბენეფიციერების რაოდენობა შეადგენდა 220-ს.

ბენეფიციერების აღრიცხვა ხდება მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებულ სიებზე ხელმოწერით.

„სათნოების სახლს“ ემსახურება 15 თანამშრომელი. ყველა თანამშრომელი არის საშტატო ნუსხით.

***აღნიშნული მოხსენების მოსმენის შემდეგ გამოითქვა აზრი, რომ „სათნოების სახლის“ თანამშრომლებს უნდა გაეზარდოთ ხელფასები.***

***ა(ა)იპ რაგბის კლუბი ვეფხვების დირექტორის სანდრო პავლიაშვილის 2022 წლის წლიური ანგარიშის მოსმენის შესახებ წარმოადგინა*** **სანდრო პავლიაშვილმა:**

– ა(ა)იპ რაგბის კლუბ ვეფხვებს 2022 წელს მუნიციპალიტეტიდან დაფინანსება გვქონდა 302 800 ლარი, წლის ბოლოს მოხდა თანხის დამატება 73 230 ლარის(34230 ლარი იყო საახალწლო პრემიების თანხა და 39 000 ლარი მოთამაშეების ხელფასები ნოემბრის თვის). ჯამში 2022 წელს სუბსიდია შეადგენდა 376030 ლარს.

რაც გაიხარჯა შემდეგში:

1.ხელფასი შტატით-62 794 ლარი.



2. შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასი(სტაფი და მოთამაშეები)-198 320.

3. პრემია საახალწლო-34 230

4.მივლინება(დიდი გუნდის გასვლები)-5479

5.ოფისის ხარჯი-3087

6.სამედიცინო ხარჯი-4532

7.უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნები-7620

8.საწვავი-22 737

9.ნაწილები და რემონტი-4658

10.ტრანსპორტის დაქირავება-1680

11.სპორტული ღონისძიება-9251

12. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება(მოედნის იჯარა,საწევრო, ფლაერები...)-21642ლარი.

ასევე გვაქვს საკუთარი შემოსავლები, 2022 წელს გვქონდა 266 541, რომელის გაიხარჯა გეგმის მიხედვით შემდეგში:

1.ხელფასი შტატით-35 646 ლარი.

2. შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასი (სტაფი და მოთამაშეები)-172 135.

3.მივლინება(დიდი გუნდის გასვლები)-5141

4.ოფისის ხარჯი-5057

5.სამედიცინო ხარჯი-7840

6.უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნები-11 682

7.საწვავი-4569

8.ნაწილები და რემონტი-2000

9.ტრანსპორტის დაქირავება-3630

10.კადრების გადამზადება-2129

11.აუდიტი-2000.

12. კომპიუტერი-1600

13ტრანსფერი-2000 ლარი.

სულ გაიხარჯა 2022 წელს-631 459 ლარი, აქედან სუბსიდია იყო-376030 და საკუთრი-255 429 ლარი)

***მოხსენების მოსმენის შემდეგ გამოითქვა აზრი, რაგბის „კლუბ ვეფხვებს“ მეტი ხელისშეწყობა და ყურადღება სჭირდება.***

***სხდომის მუშაობა შეაჯამა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გილაშვილმა.***

# დღეს მოქმედი ანსამბლები

## (გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ №11-12)

# „პატარა გარეჯელები“ ქართული კულტურის საგანძურის ღირსეული მცველები

***ამ ანსამბლში პატარა გარეჯელები არიან, მაგრამ დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურებიან და იცავენ. ინტერესით შემეკითხებით: თუ პატარები არიან, დიდ საქმეს როგორ აკეთებენ ან ეროვნულ კულტურას როგორ იცავენო?! – სრულიად უბრალოდ – ქართულ, ხალხურ სიმღერა-გალობას სწავლობენ და ეუფლებიან. გავა წლები და, ანსამბლში მყოფი პატარები დაიზრდებიან, დაფრთიანდებიან და უფრო გულმოდგინებით მოუფრთხილდებიან ჩვენს ამ მართლაცდა დიდ ეროვნულ საგანძურს. ზოგი სულაც ბოლომდე გაჰყვება ამ საქმეს, დიდ სცენაზე ავა და ასახელებს ჩვენს მხარეს და ქვეყანას, მომავალ თაობებს შემოუნახავს და გადასცემს ქართული ხალხური სიმღერა-გალობის ხიბლსა და საიდუმლოებებს...***

***ანსამბლ „პატარა გარეჯელების“ შექმნა-ჩამოყალიბებისა და ამ საშვილიშვილო საქმის ინიციატორი და იდეის განმახორციელებელი ჩვენს მუნიციპალიტეტსა და მთელ საქართველოში კარგად ცნობილი პატარაჩაილურელი ღვინაშვილების მომღერალ ოჯახში დაბადებულ-აღზრდილი, სხვადასხვა დროს ანსამბლების: „გარეჯის“ (ხელმძღვანელი მამია ბაქრაძე), სოხუმის უნივერსიტეტის კაპელას (ხელმძღ. ვეზდენ ოკუჯავა), თსუ ხალხურ საკრავთა ანსამბლ „ხორუმის“ (ხელმძღ: თამაზ მუმლაძე), ანსამბლ „სიმის“ (ხელმძღ: რეზო გელაშვილი), ანსამბლ „ოროველას“: (მაესტრო თემურ ქევხიშვილი), „რივორერას“ (მაესტრო ვასიკო დოლიძე) ანსამბლ „ძმების“ სოლისტი და წევრი, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მრავალი ფესტივალისა და კონკურსების გამარჯვებული და ლაურეატი ბექა ღვინაშვილია.***





– ანსამბლი „პატარა გარეჯელები“ 2013 წელს შეიქმნა, – ***მეუბნება ბ-ნი ბექა,*** – ვიდრე ჩვენი ანსამბლი შეიქმნებოდა, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში დავით ცინცაძის ინიციატივით შეიქმნა ქართული ხალხური სიმღერა-გალობის სკოლები, რასაც სიხარულით შეუერთდა ჩვენი რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობაც და ეს საქმე მე მომენდო.

პროფესიით იურისტი ვარ, მაგრამ ადრეული ასაკიდანვე მუსიკისადმი დიდმა სიყვარულმა არ მომცა ძალა და უფლება იმისა, რომ ამ შემოთავაზებაზე უარი მეთქვა და ჩემი პროფესიით მემუშავა. სადღეისოდ ჩვენს ანსამბლში 28 მოზარდია გაერთიანებული, რომელთაც შევასწავლი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციულ ხალხურ სიმღერებს, საეკლესიო და საერო საგალობლებს, ქართულ ხალხურ და კლასიკურ საკრავებს. გვაქვს საავტორო სიმღერებიც.

ანსამბლ „პატარა გარეჯელებს“ უამრავ კონცერტებსა და ფესტივალებში აქვს მიღებული მონაწილეობა. მათგან გამოვყოფდი 2013 წელს, საქართველოს საგუნდო საზოგადოების მიერ ჩატარებულ კონკურსს, რა დროსაც ანსამბლი სულ რაღაც სამი თვის შეკრებილი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შევძელით მეორე ადგილისა და ვერცხლის მედლის მოპოვება. ანსამბლის სოლისტმა, 6 წლის გიორგი როსტიაშვილმა კი „საუკეთესო სოლისტის“ წოდება და ფულადი ჯილდო დაიმსახურა. სხვათა შორის, ამ კონკურსში საქართველოს 3000-ზე მეტი ბავშვი მონაწილეობდა და ასეთ კონკურენციაში ვერცხლის მედლის მოპოვება ჩვენი ბავშვების დიდ ნიჭიერებაზე მიუთითებს. სწორედ ამის გამოა, რომ ისინი ერთნაირი წარმატებით ასრულებენ საქართველოს ყველა კუთხისა და გუნდების სიმღერებსაც.

***– „პატარა გარეჯელების“ გამორჩეული სახეები...***

– მე ვფიქრობ, რომ ყველა ბავშვი გამორჩეულია, ინდივიდუალურია და წლების მატებასთან ერთად, მუსიკალურადაც ვითარდებიან, ძლიერდებიან, რის შემდეგაც თავიანთი ხმებით სხვადასხვა დიდ ანსამბლებსაც ალამაზებენ. „პატარა გარეჯელებიდან“ წავიდნენ ანსამბლ „გარეჯში“ ძმები ***გიგი და ლაშა ქსაიაშვილები, გიორგი მათიაშვილი*** ანსამბლ „ბერიკაცებში“, **ილო მახარაშვილი** – თბილისის ვაჟთა ახალგაზრდულ გუნდში და სხვა.

***– არ გიფიქრიათ, რომ თქვენი ეს ეროვნული და საშვილიშვილო საქმე საგარეჯოდან მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიულ ერთეულებშიც გაგეტანათ?***

– როგორ არა. ამ ეტაპისათვის ჩვენ სიმღერის მასწავლებლები მივლინებული გვყავს შედარებით დიდ სოფლებში – კაკაბეთში, სადაც ბავშვები ჩაილურიდან და ვერხვიანიდანაც დადიან, ბადიაურში, სადაც ყანდაურელი და შიბლიანელი ბავშვები ეუფლებიან სიმღერა-გალობას, პატარძეულში, ხაშმში... საგარეჯოში ცალკე ჩამოვაყალიბეთ და გამოვყავით გოგონათა გუნდი. სამომავლოდ იგეგმება სხვა სოფლებშიც მივაწვდინოთ ჩვენი ხმა. ასევე, ჩვენს სამომავლო გეგმებშია ანსამბლის რეპერტუარის გაზრდა და გამრავალფეროვნება, ქვეყნის გარეთ გასტროლებზე გასვლა და უცხოური მსმენელებისათვის ჩვენი კულტურის უფრო უკეთ გაცნობა.

***– ღმერთმა გისმინოთ და ხელი მოგიმართოთ.***

*გივი დაბახიშვილი*





# გახსენება

## ვალერი ბექიაშვილი



**40 წლის** წინ, 6 ივლისს, ჩვენი მშობლები უბედნიერესი ადამიანები გახდნენ, დავიბადეთ ტყუპები – ორივე ვაჟები. სიხარულით, სიყვარულით გვზრდიდნენ ოთხ ვაჟს ოჯახში, რამხელა იმედებს, რა მომავალზე ოცნებობდნენ. ჩვენც არ ვრჩებოდით მშობლებს ვალში და ვცდილობდით კარგი ადამიანები, კარგი კაცები გავზრდილიყავით. მაგრამ... საბედისწერო გათენდა 2004 წლის 19 ნოემბერი შენთვის, ჩემო ვალერ, საბედისწერო და საბოლოო მზის სინათლედ შენს თვალებში. საშინელმა ავარიამ საწოლს უგონო მდგომარეობაში მიგაჯაჭვა. როგორ არ ვეცადეთ, მაგრამ... 2005 წლის 8 თებერვალს, 22 წლის ასაკში დაგვტოვე...

დამტოვე და თან წაიღე ჩემი სულის და გულის ნაწილი, ჩვენ ხომ უერთმანეთოდ დედის წიაღშიც არ ვყოფილვართ მანამდე, ჩვენ ხომ ერთმანეთი გვიხაროდა, ჩვენი ძმობა, ჩვენი ოჯახის ოთხი იმედი და მშობლებისთვის მოხუცებულობაში 4 საყრდენი.

იმიერში გილოცავ, ვალერი, 40 წლის იუბილეს, შენთვის შეუსრულებელს, შენ ისევ 22 წლის ხარ... ჩემი სამი შვილი, შენი ძმისშვილები გილოცავენ დაბადების დღეს. ნათელში იყოს შენი ლამაზი სული ძმაო, ჩემო საფიცარო და ჩემო სატკივარო!

*ვანო ბექიაშვილი*

**გაზეთ** „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ციცინო და სოსო ქვრივიშვილებს მაზლისშვილისა და ძმისშვილის

**ნიკოლოზ გივის ძე ქვრივიშვილის**

გარდაცვალების გამო

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com